

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით საიას რეგიონულმა ფილიალებმა და ოფისებმა აქციები გამართეს

1 ივნისს ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით საიას [ქუთაისის](#) ფილიალის ოფისიდან მოწყობილი მსვლელობა ქუთაისის პირველი საჯარო სკოლის მიმართულებით. მსვლელობის დროს მანვე ზეგავლენისაგან დაცვის შესახებ მომზადებული ინფორმაციული ბროშურები დარიგდა. ამის შემდეგ საიას ქუთაისის ფილიალში მოსწავლე ახალგაზრდობისთვის სემინარი თემაზე პასუხისმგებლობისა და მანვე ზეგავლენისაგან დაცვა მოწყობ. შეხვედრაში მონაწილეობას ქუთაისის სხვადასხვა საჯარო სკოლის

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



არასრულწლოვანთა პრობლემები.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის [თელავის](#) ოფისმა 1 ივნისი თელავის ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში აღნიშნა. ბავშვებს დაურიგდათ საიას მიერ დაბეჭდილი ბროშურა არასრულწლოვნები მავლე ზეგავლენისაგან A¹ ჩატარდა კონკურსი ხატვაში. აღსაზრდელებმა ასფალტზე ბავშვთა უფლებებზე ჩანახატები გააკეთეს. საუკეთესო ნახატების ავტორები ფასიანი საჩუქრებით დასაჩუქრდნენ.

ასევე, ბავშვებმა ითამაშეს სიტუაციური თამაშები ბავშვთა უფლებებზე.

[რუსთავის](#) ცენტრში, (კერძოდ კი იმ ადგილებში, სადაც ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებული სხვადასხვა ღონისძიებები მიმდინარეობდა) საიას მიერ მომზადებული ბუკლეტების არასრულწლოვანები მავნე ზეგავლენისაგან A დარიგდა. ასევე, საიას რუსთავის ოფისის იურისტებმა თეთრინყაროს რაიონის სოფელ ორბეთის საჯარო სკოლაში გასვლითი შეხვედრა-ღონისძიება მოაწყვეს. საუბარი გაიმართა ბავშვთა უფლებებზე, არასრულწლოვანთა დანაშაულებებზე და იმ გახმაურებულ მკვლელობაზე, რომელიც ჩადენილია არასრულწლოვანთა მიერ. აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით უფროსკლასელებმა დააფიქსირეს თავიანთი მოსაზრებები და გაიმართა საინტერესო დისკუსია.

ამას გარდა, საიას [დუშეთის](#) ოფისის წარმომადგენლებმა რაიონის საზოგადოების თავმჯდომარის ადგილებში ზემოაღნიშნული ინფორმაციული ბროშურები დაარიგეს.